ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/39
(ხაქონლის გამარტივებული ხაშუალებით შესყიდვაზე)

ქ. თბილისი

16 აპრილი 2013 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო ხაშეფიცანი უნივერსიტეტი, წარმოდგენილი ანცალების, ზურაბ ონაუანიეების სახით (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად") და მეორეს მხრივ შპს „ორისი", წარმოდგენილი დირექტორის, დავით გოთოიშიას სახით (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), ვდებთ ამ ხელშეკრულების შემდეგს:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი იბრუნებს „ორის"-ის საბუღალტრო პროგრამისთვის 2 (ორი) ლიცენზიის სეთი (ერთეული ATBR მოწოდებას (CPV 72200000) თსუ-ს ან. ურუშაძის სახელობის ხელოვნებისმცოდნეობის კლინიკისთვის.

2. ხაქონლის მიწოდების წესი და დირებულება

2.1 მიწოდების ვადაა 10 სამუშაო დღე მოლაპარაკების ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.
2.2 ხელშეკრულების ფასი შეადგენს 165.65 (ასსამოცდახუთი ლარი და 65 თეთრი) ლარი.
2.3 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის მიერ ნაკისრ, დაკავშირებულ მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხაქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.
2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხაქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 დამტკიცებითი (ერთიანი) ფორმა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, ანგარიშ-ფაქტურით.
3.2. მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის 12ბ, მე-5 სართი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, 10 სამუშაო დღის განმავლობაში, „შემსყიდველისთვის" (ერთიანების მიწოდების დასადასტურებელი დოკუმენტის (ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი) წარმოდგენის და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.
4.2 ანგარიშსწორების ვალუტა — ლარი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

საავტორო უფლება
კომპილაციური პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

სალიცენზიო უფლებები
პროგრამის ერთკომპილაციურია ყენსის ლიცენზიის შემთხვევაში. იქნებ გაქვთ უფლება ამ ეშალოთ იქვენს ერთ კომპიუტერზე. ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში — ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

უფლებების გადაცემა
იქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები — მესამე მხარეს ამ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, იქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო იქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

შეზღუდული გარანტია
მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

გარანტიების არარსებობა
პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს თქვენს ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.1.1. დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საინფორმაციო ცხრილების მიღება.
5.1.2. უზრუნველყოს მიწოდებული საინფორმაციო ცხრილების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
5.2.2. უზრუნველყოს დამატებითი საინფორმაციო ცხრილების მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.
9.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

10.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილების მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს ა.ა. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი მ. ივერიელი.

10. დამატებითი პირობები

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს. ხელშეკრულების მოშლის გადაწყვეტილების შესახებ ერთ-ერთი მხარე ატყობინებს მეორე მხარეს 3 დღით ადრე.

13.4. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

14.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.№33
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
თი ბი სი ბანკი, კოდი TBCBGE22
ა/ა GE34 TB11 0000 0000 609 229

"მიმწოდებელი"

შპს "ორისი"
ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის 12ბ, მე-5 სართ.
საიდენტიფიკაციო ნომერი 206033754
საქართველოს ბანკი, კოდი BAGAGE22
ა/ა GE88 BG00 0000 0120 121 601

თსსუ-ს კანცლერი
ხუციშვილ ორჯონიკიძე

შპს "ორისი"-ს დირექტორი
დავით გოთოშია